ხელშეკრულება №117
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
(წარმომადგენლობითი ხარჯები)

ქ. თბილისი **12 ოქტომბერი 2016 წელი**

ჩვენ, ერთის მხრივ, **სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“** (შემდგომში - ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი დირექტორის **ანა კვარაცხელიას** სახით (**მის:** ქ. თბილისი, მარჯანიშვილის №5/16-18; **ტელ:** 2960010; **ს/კ:** 204582763; **საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ა/ა 200122900),
მეორეს მხრივ, **შპს "Lucky Group"** (შემდგომში - ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი დირექტორის **ზვიად თავართქილაძის** სახით (**მის:** ქ.თბილისი, წერეთლის გამზ. №57; **ტელ:** 2492244; **ს/კ:** 404880624; **საბანკო რეკვიზიტები:** სს „თიბისი ბანკი”, კოდი: TBCBGE22 ა/ა GE42TB7676836020100001),
”სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მეწარმეობის განვითარების სააგენტოს, მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის (ო/კოდი 24010302) 2016 წლის დაფინანსების ფარგლებში, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ექსპორტის განვითარების პროგრამის ფარგლებში ქართველი დიზაინერების ნაწარმისა და სამკერვალო ფაბრიკებისთვის ექსპორტის ხელშეწყობისათვის, 2016 წლის 19-23 ოქტომბერს გასამართ თბილისის მოდის კვირეულზე დასასწრებად მოწვეული სამკერვალო ინდუსტრიისა და მოდის ინდუსტრიის ექსპორტიორი კომპანიების წამყვანი სპეციალისტების და წარმომადგენლებისათვის, ელექტრონული ავიაბილეთის (CPV60410000) შესყიდვა დანართი №1-ის შესაბამისად (შემდგომში - მომსახურება).
1.2. ავიაბილეთების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში და შეადგენს **7249.00** (შვიდი ათას ორას ორმოცდაცხრა) ლარს.
2.2. მოწვეული სტუმრის მგზავრობის მიმართულებები, თარიღები და ფასები წარმოდგენილია დანართში №1, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
2.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს შესყიდვასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.

3. მიღება-ჩაბარების წესი, ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ მხარეებს შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
3.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ექსპორტის განვითარების დეპარტამენტის უფროსს კონსტანტინე მდინარაძეს, რომელიც არ იმყოფება მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში.
3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მხარეების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
3.4. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტობრივად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის, მენიუ-ჩეკის და წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე (არსებობის შემთხვევაში), მისი გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და სხვა პირობები

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე არაუგვიანეს 2016 წლის 20 ივლისისა.
4.2. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

5. მხარეთა რეკვიზიტები

”შემსყიდველი”	”მიმწოდებელი”
სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“	შპს "Lucky Group"
დირექტორი	დირექტორი
ანა კვარაცხელია	ზვიად თავართქილაძე

დანართი №1

№	სახელი და გვარი	მიმართულება	თარიღები	ღირებულება (ლარი)
1	BEXULTAN/ASSEL MRS	ალმაატა-თბილისი-ალმაატა	19.10.2016-23.10.2016	775
2	KADANTSEVA/SVETLANA MRS	ალმაატა-თბილისი-ალმაატა	19.10.2016-23.10.2016	775
3	FROLOVA/MARIA MRS	მოსკოვი-თბილისი-მოსკოვი	18.10.2016-22.10.2016	758
4	MATVEIUK/KIRILL MR	მოსკოვი-თბილისი-მოსკოვი	18.10.2016-22.10.2016	758
5	SASSATELLI/THOMAS MR	ვენეცია-მიუნხენი-თბილისი-მიუნხენი-ვენეცია	18.10.2016-23.10.2016	1730
6	COTELLESSA/SIMONE MR	ვენეცია-მიუნხენი-თბილისი-მიუნხენი-ვენეცია	18.10.2016-23.10.2016	1730
7	SHTABA/OLGA MRS	კიევი-თბილისი-კიევი	18.10.2016-24.10.2016	723
	სულ:			7249.00

"შემსყიდველი"

სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტო"

დირექტორი

ანა კვარაცხელია

"მიმწოდებელი"

შპს "Lucky Group"

დირექტორი

ზვიად თავართქილაძე